პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

5 თებერვალი 1940 წ. | საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო | № 5 (124) ფასი 30 კაპ.

მ ა დ ლ ო ბ ა

გულითად მადლობას ვწირავ ყველა ორგანიზაციებს, საზოგადოებებს, ჯგუფებს, დაწესებულებებს, პირებს, რომლებმაც გამომიგზავნეს მილოცვები და კეთილი სურვილები ჩემი სამოცი წლის შესრულების გამო.

ი. სტალინი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

ლიტერატურის დარგში სტალინის სახელობის პრემიის დაწესების შესახებ

დამატებით სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1939 წლის 20 დეკემბრის დადგენილებისა „სტალინის სახელობის პრემიებისა და სტიპენდიების დაწესების შესახებ“ სსრ კავშირის სახკომსაბჭო ადგენს:

დაწესდეს **სტალინის სახელობის** ოთხი პრემია თითო 100-ათასმანეთიანი, რომლებიც ყოველწლიურად მიენიჭება ღირსშესანიშნავი ნაწარმოებისათვის ლიტერატურის დარგში, აქედან:

ერთი — პოეზიაში,
ერთი — პროზაში,
ერთი — დრამატურგიაში,
ერთი — ლიტერატურულ კრიტიკაში.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე
ვ. მოლოტოვი

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი
მ. ხლომოვი.

1940 წლის 1 თებერვალი.
მოსკოვი, კრემლი.

ვიბრძოლოთ სტალინის სახელობის პრემიისათვის

უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა მთელი საბჭოთა მწერლობა, მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა სსრ კავშირის სახალხო კომისართა [illegible]

გარშემო. ჩვენი სამშობლოს განუზრელი ზრდა, საბჭოთა პატრიოტების სასწაულებრივი გმირობა, საბჭოთა ადამიანების წარმატებანი სა- [illegible]

ყინულმჭრელ „გ. სედოვის“ ეკიპაჟი:
პირველ რიგში (მარცხნიდან): კ. ს. ბადიგინი, დ. გ. ტროფიმოვი, ვ. ხ. ბუინიცკი, ა. გ. ეფრემოვი, ა. პ. სოზოლევსკი; მეორე რიგში: დ. პ. ბუტორინი, ა. ა. პოლიანსკი, ე. ი. გამანკოვი, ი. მ. ნეძვეცკი, ს. დ. ტოკარევი; მესამე რიგში: ვ. ს. ალფეროვი, ნ. მ. ბეკასოვი, პ. ვ. მეგერი, ნ. ს. შარიპოვი და ი. ი. გეტმანი.

ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირული დრეიფის მონაწილეთა მიღება კრემლში

2 თებერვალს, საღამოს, კრემლში მოხდა ყინულმჭრელ „სედოვის“ გმირული დრეიფის მონაწილეთა მიღება, რომელიც მოაწყეს საკ. კ. [illegible]

მქუხარე ტაშის გრიალში ამხანაგი მოლოტოვი წარმოსთქვამს თხუთმეტი საბჭოთა ვაჟკაცის—სახელოვან სედოველთა სადღეგრძელოს. [illegible]

მზად არიან სიხარულით შეასრულონ ყოველი ახალი დავალება.

ამხ. ტროფიმოვი წარმოსთქვამს საბჭოთა მთავრობის მეთაურის, ვია- [illegible]

მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმისათვის

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მეორე მოწვევის გამგეობის მეორე პლენუმი, რომელიც გაიხსნება შვიდ თებერვალს, განიხილავს ფრიად მნიშვნელოვან საკითხებს, რომელთა დროული გადაჭრა ჩვენი ლიტერატურის წარმატების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. პლენუმზე მოსმენილი იქნება საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ირაკლი აბაშიძის საინფორმაციო მოხსენება მწერალთა ყრილობის დადგენილებათა რეალიზაციისა და ყრილობის შემდეგ პრეზიდიუმის მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

პრეზიდიუმის მუშაობის ეს ანგარიში მრავალმხრივ არის საინტერესო და საგულისხმო. მწერალთა კავშირმა ყრილობის შემდეგ უკვე არა ერთი პრაქტიკული ნაბიჯი გადასდგა იმისათვის, რომ მთლიანად და ბოლომდე გარდაექმნა თავისი მუშაობა დემოკრატიულ საფუძვლებზე. ცხადია, ეს გარდაქმნის პროცესი ჯერ არ არის დამთავრებული. მთავარი სამუშაო ჯერ კიდევ წინ არის, — და ამ მუშაობის ცენტრში სდგას ზრუნვა მწერალზე, ბრძოლა საბჭოთა ლიტერატურის უხვი ნაყოფიერებისა და მაღალი იდეურ-მხატვრული ხარისხისათვის, ბრძოლა იმისათვის, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა ღირსეულად ეხმაურებოდეს ჩვენი დროის ეპოქალურ მოვლენებს, ეხმაურებოდეს ისე, როგორც ეს შეჰფერის სტალინური ეპოქის ადამიანის სულის ინჟინრებს.

ამ ცოტა ხნის წინად საბჭოთა მწერლობამ მთელს საბჭოთა ხალხ- [illegible]

საკუთრებული მნიშვნელობის საქმედ მწერალთა კავშირის მთელი მუშაობის სისტემაში. ამ მხრივ გადამჭრელი როლი უნდა ითამაშოს ახალგაზრდა მწერლების კურს-კონფერენციამ.

ახალგაზრდა მწერლების კურს-კონფერენცია, რომლის გეგმა და პროგრამა პრეზიდიუმმა უკვე დაამტკიცა, მნიშვნელოვანი პრაქტიკული ნაბიჯი იქნება ჩვენს მუშაობაში. მასში მონაწილეობას მარტო თბილისის ლიტერატურული ახალგაზრდობა როდი მიიღებს, მას დაესწრებიან ახალგაზრდა მწერლები ავტონომიური რესპუბლიკებიდანაც და რაიონებიდანაც.

პლენუმის დღის წესრიგში სდგას მეორე საყურადღებო საკითხიც: ქართველი საბჭოთა მწერლების მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის შესახვედრად. მთელი წელიწადი, რომელიც დარჩენილია ამ დიად თარიღამდე, უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ ქართველი ხალხის განთავისუფლების 20 წლისთავს შევხვდეთ საუცხოო მხატვრული წიგნებით, რომლებშიც გამოხატული იქნება ჩვენი ეპოქის ახალი ადამიანი, ახალი ქვეყანა, თავისუფალი სოციალისტური სამშობლო, მისი სახელოვანი შვილების ბრწყინვალე საქმეები.

განსაკუთრებული ყურადღებით უნდა იქნას განხილული პლენუმზე საკითხი მწერალთა თავდაცვითი მუშაობის და თავდაცვითი მხატვრული ლიტერატურის შესახებ.

ცნობილია, რომ საბჭოთა მწერლებმა, რომლებიც წითელი არმიის ნაწილებში იყვნენ მაშინ, როცა იგი [illegible]

ბის რედაქციებთან და თავიანთი ხელის შეწყობით უზრუნველჰყოფენ მწერლის შემოქმედებითი შრომის ხარისხის ამაღლებას.

ამ მხრივ განსაკუთრებით მკვეთრად სდგას ჩვენს წინაშე მწერალთა ახალგაზრდა კადრების აღზრდის საკითხი. უმრავლესობა ჩვენი ლიტერატურული ახალგაზრდობისა, იწყებს რა მწერლობას, დაუცხრომლად ისწრაფვის თავისი ცოდნის გაფართოებისაკენ, ისწრაფვის სრულყოფილად დაეუფლოს მწერლის სრულ ოსტატობას და პირველ რიგებში ჩადგეს. ჩვენი ამოცანაა — შევუქმნათ ამ ახალგაზრდობას ისეთი გარემოცვა, რომელიც ხელს შეუწყობს მის სწრაფ პოლიტიკურ და ლიტერატურულ ზრდას. ეს საკითხი ყოველთვის უნდა მივაჩნდეს გან-

ლებას აქცევენ. საჭიროა რედაქციებმა გააძლიერონ ამ სფეროში მუშაობა, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მას.

ყოველი საბჭოთა პატრიოტის და მათ შორის საბჭოთა მწერლის უაღრესად დიდი და საპასუხისმგებლო მოვალეობაა — აამაღლოს თავისი სამხედრო ცოდნა, რომ საჭირო მომენტში პრაქტიკულადაც ცხადჰყოს თავისი ულრმესი ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი.

უდიდესი მნიშვნელობის საკითხები სდგას ჩვენი პლენუმის წინაშე. სწორედ ამიტომ არის საჭირო სავსებით მომზადებულნი შევხვდეთ ამ საკითხების განხილვას და გადაჭრით უზრუნველვყოთ ჩვენს წინაშე დასახული ამოცანების დროული განხორციელება.

საქართველოს საბჭოთა მწერლები აფხაზეთში

საქართველოს საბჭოთა მწერლების პრეზიდიუმის დადგენილებით 30 იანვარს აფხაზეთში გაემგზავრა საბჭოთა მწერლების ჯგუფი: — შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, ს. ეული, კ. კალაძე, ა. გომიაშვილი, რ. გვეტაძე, ბ. ჟღენტი და ე. პოლუმორდვინოვი.

მწერალთა ამ ჯგუფის გამგზავრების მიზანი იყო ახლოს გასცნობოდა საბჭოთა აფხაზეთის ყოფაცხოვრებას, წარჩინებულ ადამიანებს, აფხაზეთის მშრომელი ხალხისათვის გაეცნოთ ქართული საბჭოთა მწერლობის მიღწევები.

31 იანვარს სოხუმის სახელმწიფო თეატრში შესდგა დიდი ლიტერატურული საღამო. დამსწრე საზოგადოება აღფრთოვანებით ესალმებოდა ყოველი მწერლის გამოსვლას. 1 და 2 თებერვალს მწერლებმა დაათვალიერეს აფხაზეთის ღირსშესანიშნავი ადგილები. 3 თებერვალს ესტუმრნენ ტყვარჩელის მაღაროელებს. აკარმარის მაღაროელთა კლუბში მოეწყო საქართველოს საბჭოთა მწერლების და მაღაროელთა შეხვედრა.

მაღაროელები მხურვალედ მიესალმენ ქართველ მწერლებს. მაღაროებში მომუშავე დამწყებმა მწერლებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებები.

ლიტერატურული საღამოს დასრულების შემდეგ მწერლები ესაუბრენ მაღაროელთა ლიტერატურული წრის წევრებს.

აფხაზეთის გაზეთებმა სპეციალური ლიტერატურული გვერდები მიუძღვნეს საქართველოს საბჭოთა მწერლობას და ფართოდ გააშუქეს ქართველ მწერლების მონაწილეობით გამართული ლიტერატურული საღამოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მწერლობის იდეური და მხატვრული ზრდისათვის

საქართველოს კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში—ამხ. ი. თავაძის სიტყვა მწერალთა საქალაქო კრებაზე

თქვენ შორის არ მეგულება ისეთი ამხანაგი, რომელსაც არ ესმოდეს, თუ საიდან გამომდინარეობს მითითება იმაზე, რომ საჭიროა მწერლები შეიკრიბონ, იმსჯელონ და გაარკვიონ საბჭოთა ლიტერატურის და თავიანთი

...

ბოდეს. სამაგიეროდ უხვად წააწყდებით ლექსებს ასეთი სათაურებით: „ორი სონეტი“, „დაკარგული ჩანგი“, „უსათაურონი“, „წვიმაში“. თემატიკა ამ ლექსებისა მეტწილად განყენებული და დროის შეუფერებელია.

...

ჩვენ მისი ზოგიერთი სუსტი ნაწარმოები არ გავაკრიტიკოთ. მაგრამ ამ კრიტიკის დროს არ უნდა გადავაჭარბოთ. სწორია, რომ შალვა დადიანმა დასწერა, როგორც აქ ითქვა, ცუდი პიესები პუშკინზე, ბარათაშვილზე, სადაც

...

სებული, რომ მას ბევრჯერ ღალატობს ზომიერების გრძნობა, პრინციპულობის შეგნება. ბევრი სახოტბო, სადიდებელი სიტყვები არის დახარჯული მწერლებისა და მათი ნაწერების შეფასებისათვის. ეხლა ნამდვილად რომ მოგ-

...

მერი, რადგან მასში იშვიათად შეხვდებით ისეთ მასალას, ისეთ ლიტერატურულ ფაქტს, რომელიც ჩვენი ცხოვრების მიერ წამოყენებულ საკითხებს ეხმაურე-

აქ ბევრი რამ ითქვა შალვა დადიანზე. მას დიდი ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ

ბა ლიტერატურული მოვლენების სწორი შეფასება. ჩვენს კრიტიკას ერთი ის დიდი შეცდომა აქვს დაშვებული, რომ მას ბევრი რამ ძალიან გაზვიადებულად აქვს შეფა-

სა და წინსვლისათვის. საჭიროა ეს უდიდესი მზრუნველობა დანდობა გამოვიყენოთ ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი მხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის.

ლიტვის სსრ მწერალთა მზადება ყრილობისათვის

როგორც ვილნიუსის გაზეთი „ახალი ცხოვრება“ იუწყება ლიტვის მწერლები ემზადებიან თავიანთი პირველი ყრილობისათვის, რომელიც გააერთიანებს ყველა ლიტერატორს, დასახავს საბჭოთა ლიტვის ლიტერატურის განვითა-

...

ვიანთი კლუბი, რომელთანაც ყალიბდება სემინარი მარქსიზმ-ლენინიზმის შესასწავლად. შემუშავებულია გეგმა ლექციებისა და საუბრების ჩასატარებლად პოლიტიკურ და ლიტერატურულ თემებზე.

ლიტველი მწერლების ახალი წიგნები

ცნობილი ლიტველი მწერალი პეტრას ცვირკა ამზადებს დასაბეჭდად თავისი რომანის „მარჩენალი მიწის“ შესწორებულ გამოცემას და ორ ახალ წიგნს ბავშვებისათვის.

მალე გამოვა ლუდას გირას პოემა სტალინური კონსტიტუციის შესახებ.

პოეტი - ქალი სალომეია ნერისი მუშაობს ზღაპარზე ლიტვური ფოლკლორის მასალის მიხედვით.

„ქართველი რომანტიკოსები“

ლენინგრადის გამომცემლობამ „საბჭოთა მწერალმა“ „პოეტის ბიბლიოთეკის“ სერიაში გამოსცა რუსულ ენაზე წიგნი „ქართველი რომანტიკოსები“. მასში მოთავსებუ-

...

ნაწყვეტი საბავშვო პოემიდან

გრიგოლ აბაშიძე

სოროში რომ დარჩა მარტო,
დაუმშვიდდა კურდღელს გული,
მოაგონდა ტკბილი სუფრა
და განცხრომა დიდებული.

პირზე ნერწყვი მოერია,
მოშივნოდა რბენით დაღლილს,
გარეთ როგორ გავიდოდა,
სოროს კართან ჰყეფდა ძაღლი.

...

„— რით გიშველეთ?
ჩვენ რომ არა,
შევრჩებოდა ტყავი კიდევ?
განა მარტო გამოვრბოდით,
შენი ტანი ავიკიდეთ!

შენ ნახავდი კარგ სანახავს,
არ გქონოდა ეს თათები,
ძლივს გიხსენით, უმადურო,
შენ კი სიკვდილს გვემართლები

...

თქვენებრ სხვა ვინ
მემსახუროს?!“

ახლა ფეხებს დააცქერდა,
პაჭიჭები ეცვათ ჭრელი;
— ოთხო თათო, რით მიშველეთ,
ოთხივე ხართ მოსაჭრელი!“

...

გაუწოდა ძაღლებს კუდი.

გაიხარეს ქოფაკებმა,
მიეხვიენ ხვრელის კიდის,
მოეჭიდენ კურდღლის ჭრელ
კუდს,
და ზედ ძირში მიაკვნიტეს.

ხალხთა სტალინური მეგობრობის დროშით

უკრაინელი და ქართველი მწერლების თანამშრომლობა

12 ნოემბერს კიევში შესდგა უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ქართველი საბჭოთა მწერლები ალიო მაშაშვილი და კონსტანტინე ლორთქიფანიძე. სხდომაზე შეჯამებულ იქნა უკრაინის და საქართველოს საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი თანამშრომლობის

...

კო, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი ამხ. ჩეკანიუკი, მწერლები კორნეიჩუკი, ბაჟანი და რილსკი. უკრაინისა და საქართველოს მწერალთა შორის შემოქმედებითი კავშირის გაღრმავებისა და გაძლიერებისათვის ხშირად გაიმართება ქართველი მწერლების სალამოები უკრაინაში

...

რის ანთოლოგია, ამ ანთოლოგიაში შეტანილი იქნება უკრაინის საბჭოთა მწერლების საუკეთესო ლექსები, პოემები და ნოველები. ამავე დროს გამოცემული იქნება ქართულ-უკრაინული ალმანახი, რომელიც მიეძღვნება უკრაინისა და საქართველოს სამწლიან შეჯიბრებას. ამ ალმანახისათვის გამოიყო სარედაქციო კოლეგია, რომელშიაც უკრაინიდან შევიდნენ უკრაინის კ. პ. (ბ) ც. კ-ს მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ბისენ-

...

ლორთქიფანიძემ და ა. მაშაშვილმა ამ დღეს მიკროფონთან წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებნი. რადიოთივე გადაცემულ იქნა ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებნი. ამხ. მაშაშვილის უკრაინულად თარგმნილი ლექსები წაიკითხა ამხ. პერვომაისკიმ. რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა პონომარენკომ წაიკითხა ნაწყვეტი კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებიდან „შეხვედრა“.

უკრაინის „ლიტერატურნა გაზეტას“ საქართველოსადმი მიძღვნილი ნომერი

...

თველოს პოეტებს“. ამ გვერდზე მოთავსებულია ნაწყვეტი შ. დადიანის მოთხრობიდან „დღესა ერთსა“, მ. რილსკის ლექსი „ქართველ მწერლებს, მ. ბაჟანის, ი. იანოვსკის, ი. ფეფერის, გ. ტურას წერილები საქართველოზე და

...

სერგეევის წერილი ქართული ბალეტის „მთების გულის“ კიევში დადგმის გამო, ინფორმაციული წერილი საქართველოში მხატვრული ლიტერატურის გამოცემის შესახებ.

სიმონ ჩიქოვანის ლექსების წიგნი უკრაინულად

უკრაინის მხატვრული ლიტერატურის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა სიმონ ჩიქოვანის ლექსების კრებული. ლექსები უკრაინულად სთარგმნეს პ. ტიჩინამ მ. ბაჟანმა, მ. რილსკიმ და სოსიურამ.

სახლი ხამოვნიკში

აკაკი გაწერელია

„ამ დარბაზებში ვერ იცეკვებდა ნატაშა როსტოვა!“

ასეთი იყო შთაბეჭდილება ერთი რუსი მწერლის, რომელმაც იასნაია პოლიანაში ინახულა ლევ ტოლსტოი და გაკვირვებული დარჩა მისი სახლის დარბაზების უბრალო მორთულობით.

მოსკოვში, ხამოვნიკში (ამჟამად „ლევ ტოლსტოის ქუჩად“ იწოდება) სდგას ორსართულიანი სახ-

...

დიასახლისის თეფშიდან. შუაში მჯდარა მათი უმცროსი ვაჟი. შემდეგ ჩამწკრივებულია მწერლის დანარჩენი შვილებისა და ახლო ნათესავების საინები.

დარბაზის ერთს კედელზე ჰკიდია სურათი. სარკმელში იცქირება ბაღი.

ოთახს ქრიამული არ ავსებს და ამ მაგიდაზე, რომლის ირგვლივ სკამებია დადგმული, ადამიანთა

...

რგავდა ხელებში და ათრთოლებული მალულად იცრემლებოდა.

საგნებს აქ სიძველის, მყუდროებისა და სიმშვიდის დაღი აძევთ, ეტყობა, დარბაზი ოდესღაც პატრიარქალური იდილიით სუნთქავდა. მაგრამ ერთს დღესაც ვერ გასძლებდა აქ მაყვლისფერ ხავერდის კაბაში გამოწყობილი, მომხიბლავი, მაგრამ სხეულის რეფლექსიას აყოლილი ანა კარენინა.

ამ დარბაზიდან გავდივართ პატარა, აგრეთვე სასტუმრო ოთახში, სადაც ტოლსტოის მეუღლე ღებულობდა თავის სტუმრებს.

...

საფერისად — ქედმოუხრელად!

სახლი რომ ქვითკირის იყოს, მაშინ ეს ოთახი მწირის სენაკს დაემსგავსებოდა.

ოთახის კარებთან გაკრულია სია იმ მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების, რომელნიც ამ სახლში ყოფილან და ტოლსტოისთან უსაუბრნიათ (სტუმრებს შორის მოხსენებულია ა. სუმბათაშვილი-იუჟინი). უქეიფოდ ყოფნის დროს ტოლსტოი აქ ღებულობდა მნახველებს, აქ იმართებოდა საუბრები..

ტოლსტოის სამუშაო კაბინეტი

...

ს ა ნ დ რ ო ე უ ლ ი

სანდრო ეულს ლიტერატურული მოღვაწეობის ოცდაათი წელი შეუსრულდა.

მთელი ამ დროის მანძილზე პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ინტერესი განუყრელად იყო დაკავშირებული ჩვენი ხალხის ინტერესებთან, მის ცხოვრებასთან, მის შრომასა და ბრძოლასთან. სანდრო ეულის ბიოგრაფია ტიპიური ბიოგრაფიაა იმ ადამიანისა რომელიც ძველი ქვეყნის მჩაგვრელ პირობებში ბრძოლით, გაჭირვებით იკვლევდა გზას ცხოვრებაში, მთელის გულით იბრძოდა იმ ცხოვრების გარდაქმნისათვის და რომელსაც თავისუფალი მუშაობის პირობები მხოლოდ რევოლუციის შემდეგ მიენიჭა.

და ბუნებრივია, რომ სანდრო ეულის ლექსები თავიდანვე გამოხატავდნენ მშრომელი ხალხის უგულითადეს მისწრაფებებს. ჩვენი პოეტი ამ ხალხის წიაღში აღიზარდა.

სანდრო ეული (ალექსანდრე ქიშვარდის-ძე ქურიძე) დაიბადა 1890 წელს, ოცდა სამ ოქტომბერს, სოფელ ზომლეთში, ღარიბი გურული გლეხის ოჯახში. სანდროს მამა ადრე გარდაიცვალა, სილატაკეში გაიარა სანდრო ეულის ყრმობამ.

თავისი ცხოვრების ამ პერიოდს თვითონ პოეტი ასე ახასიათებს:

„პაწაწკინტელა გურული ბიჭი,
სიღარიბეში აღზრდილი სოფლად,
ბედს ვემდუროდი: „ასე რად გვიჭირს?
რატომ ვიზრდები ტანჯვაში ობლად?
ლამის დაგვენგრეს თავზე ეს ქოხი
გვერდით რომ უდგას მეზობლის ოდას!..
შეველევ დედის ნამზითი ნოხი
წაგვართვა, გულქვამ არ შეგვიცოდა.
ყიდა ჭადს გვიცხობს ნასესხებ
ფქვილით,
ამდენ სესხს ნეტავ ვინ გადაიხდის?
შიშველი ფეხით როდემდის ვივლი
და ტანზე ძონძებს როდის გავიხდი?"

ცხოვრების ეს მძიმე პირობები ეღობებოდნენ მას წინ და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ. როცა სოფლის სკოლაში წარჩინება შეატყეს, ერთმა მასწავლებელთაგანმა სანდრო წაიყვანა ქ. ხონში და სამასწავლებლო სემინარიისათვის მოამზადა, მაგრამ დიდი გაჭირვების გამო იგი ვერ შევიდა ამ სასწავლებელში და იძულებული გახდა თავის სოფელს დაბრუნებოდა.

მაგრამ გამრჯე და მზრუნველი დედის მეოხებით სანდრომ მაინც მოახერხა სწავლის განგრძობა ოზურგეთის საქალაქო სასწავლებელში, შემდეგ ის შევიდა იმავე სასწავლებელთან არსებულ სამეურნეო სკოლაში.

სანდრო არც იქ დარჩენილა ხანგრძლივად. უსახსრობამ აიძულა შეეწყვიტა სწავლა და ეზრუნა ლუკმაპურისათვის. ის ჯერ ჩაქვში მუშაობდა შავ მუშად, შემდეგ ნატანების ფოსტა-ტელეგრაფის კანტორაში სწავლობდა ტელეგრაფისტობას.

ამის შემდეგ სანდრო ჩოხატაურში მუშაობს, ხოლო 1909 წლიდან უკვე ფოთში იმყოფება. თუ როგორი იყო ამ პერიოდში მისი ცხოვრება, ამას ნათელჰყოფს სტრიქონები „ქალადიდიდან“.

„მოვიდა სიყრმე — დავაჟკაცდა,
ვიგრძენი ჩემში სიმწიფის ძალა,
ბრძოლის ხალისმა და გატაცებამ
უიმედობა გამომაცალა.
გავყევ მამის გზას, გავშორდი
სახლკარს,
მივენდე ქალაქს ჭაობებიანს,
დღეს რომ გარშემო ბაღნარი აკრავს,
სადაც შრომაში ჭარბად ებმიან.
იმ ქალაქს ნოყო ალრჩობდა მაშინ,
იმ ქალაქს სახე ყვითელი ჰქონდა,
შეჰხორცებოდა ცხელება ტანში,
როგორც სანთელი იწვოდა, თრთოდა.
იქ გემებიდან ვზიდავდი ყუთებს,
მქონდა ძაღლური სიცოცხლე-ყოფა...:"

1910 წელს სანდრო ბაქოში გადადის. ამ ქალაქმა მრავალმხრივად შეუწყო ხელი მის გათვითცნობიერებას და ახალგაზრდა პოეტის შეგნებაში რევოლუციური მსოფლმხედველობის ფორმირებას. ბაქოში ის ცხოვრობს ჩვეულებრივი პროლეტარის ცხოვრებით.

პირველი რევოლუციური ნათლობა სანდრო ეულმა ბაქოს მუშათა უბნებში მიიღო. იგი გატაცებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. თვითმპყრობელობის აგენტებს მისი მონაწილეობა ძველი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში შეუმჩნევლად არ დარჩენიათ. იგი დააპატიმრეს და ბაილოვის საპყრობილეში მოათავსეს.

იმ წლებში ბაქოში გამოდიოდა ქართული ჟურნალი „წყარო“, რომლის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი სანდრო ეული იყო.

1917 წელს სანდრო ეული შედის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) რიგებში.

იმ წლებში, როცა მოღალატე მენშევიკებმა საქართველოში ხელთ იგდეს ძალაუფლება, სანდრო ეული აქტიურად იბრძვის მენშევიკური რეაქციის წინააღმდეგ. იგი ითვლება „კომუნისტის“ ოფიციალურ რედაქტორად. სწორედ ამიტომ მიმართავენ მენშევიკები მის წინააღმდეგ რეპრესიებს: 1920 წელს ამხ. ეული დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს, ხოლო ქუთაისიდან გადაიყვანეს ბათუმის საპყრობილეში, საიდანაც განთავისუფლებულ იქნა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღეს.

ამ დღიდან სანდრო ეულის ცხოვრებაში იწყება ახალი ხანა. სანდრო ეული ქართველი ხალხის განთავისუფლების პირველი დღიდანვე იწყებს აქტიურ მუშაობას კულტურის ფრონტზე. შემოქმედებითის შრომასთან ერთად იგი აწარმოებს დიდ პრაქტიკულ მუშაობას: ხელმძღვანელობს სხვადასხვა დროს კულტურულ ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს. ის არის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციისა, იგი რედაქტორობდა პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის ბეჭდვითს ორგანოს ჟურნალ „ჭურას“.

სანდრო ეული აქტიურ მონაწილეობას იღებდა და იღებს საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის მუშაობაში, იგი იყო ამ კავშირის სამდივნოს წევრი. გასულ წელს საქართველოს საბჭოთა მწერლების მეორე ყრილობამ სანდრო ეული აირჩია მწერალთა კავშირის გამგეობისა და პრეზიდიუმის წევრად.

1934 წლის მაისში საბჭოთა საზოგადოებრიობამ სანდრო ეულს პოეტური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავის აღსანიშნავად იუბილე გადაუხადა.

გასულ წელს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დროს — სანდრო ეული არჩეული იქნა თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

სანდრო ეულის პირველი ლექსი დაიბეჭდა მძიმე რეაქციის ხანაში, 1908 წელს. ამის შემდეგ პოეტს შემოქმედებითი მუშაობა არ შეუწყვეტია. მან გაუძლო ძველი ქვეყნის მჩაგვრელი ატმოსფეროს სიმკაცრეს და გაკაჟებული, გამობრძმედილი გამოვიდა ლიტერატურული მოღვაწეობის ფართო გზაზე.

1921 წელს გამოვიდა სანდრო ეულის პირველი ლექსების წიგნი— „რევოლუციის საყვირი“. შემდეგ წლებში ეულმა გამოაქვეყნა წიგნები: „ქარხნის ტრიუმფი“, „ათი წელი“, „ახალგაზრდა საქართველო“, „შრომისა და ბრძოლის ჰანგები“, „დიად დღეებზე“, „ფოლადის პოეტი“, „ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი“, რჩეულ ნაწარმოებთა ორი ტომი და სხვ. 1938 წელს გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ გამოსცა სანდრო ეულის რჩეული ლექსები რუსულ ენაზე.

რევოლუციური მგზნებარება და მებრძოლი სული სანდრო ეულის პოეზიის განუყრელი თვისებაა. პოლიტიკური სიმახვილით და ემოციურობით გამსჭვალულია სანდრო ეულის ლექსები, რომლებიც პოეტს დაუწერია ცარიზმის წინააღმდეგ არალეგალური ბრძოლის, გაფიცვებისა და საბარიკადო შეტაკებების, მუშათა მაისობის, დიდი ოქტომბრის დღეების, გაშლილი სოციალისტური შეტევის, მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლების და სხვა მნიშვნელოვანი თემების შესახებ.

ღრმა გულწრფელობით და იდეური სიმტკიცით აღბეჭდილია სანდრო ეულის ლექსები დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის შესახებ. ეს უშუალობა განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანს სანდრო ეულის ლექსში — „ორი ბელადი“, რომელიც დაწერილია 1926 წელს. შემდეგი დროის ლექსებსა და პოემებში, რომლებიც ამავე თემაზეა დაწერილი, პოეტი ცდილობს მხატვრულად ასახოს დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები. ამ მხრივ აღსანიშნავია „სამუშაო ოთახში“, „ძმის ნაამბობი“ და „ბელადის სიყრმე“.

გასულ წელს სანდრო ეულმა გამოაქვეყნა პოემა „ტარას შევჩენკო“, რომელშიაც მან სცადა აესახა უკრაინის დიდი სახალხო მომღერლის ცხოვრების ცალკეული მომენტები. ამას გარდა, პოეტმა ამ ნაწარმოებში გვიჩვენა საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა საქართველოს ხალხთა განუყრელი და ურღვევი მეგობრობა. ავტორმა ისტორიული თემა მჭიდროდ დაუკავშირა თანამედროვეობას.

სანდრო ეულის პოეზია მკაფიო სალებავებით გამოხატავს ჩვენი დროის სიდიადეს, პოეტი მთელი თავისი მხატვრული შესაძლებლობით უმღერის განთავისუფლებულ მშრომელ ხალხს.

მ ო ხ უ ც ი დ ე დ ა

ს ა ნ დ რ ო ე უ ლ ი

როცა დავწვები და ჩავიტან ძილში მის სახეს,
შემოვა იგი და დამხედავს წელ ში მოხრილად,
ჩემს ყურის ბალიშ დამჭკნარ თითებს ოდნავ შეახებს
და შემომიკეცს საბანს ირგვლივ ზრუნვით და ფრთხილად.

მისთვის მე დღესაც „ბაღანა“ ვარ და დედისერთა,
თუმცა ორთავეს დრომ დაგვსუსხა და დაგვათოვა,
რამდენი ტანჯვა წარსულიდან გვიზიდავს ერთად, —
მან დასთმო ჩემთვის ყოველივე და მიატოვა.

ახლა ის უკვე ოთხმოცი წლის ზღურბლთან დამდგარა,
მე ნახევარი საუკუნის მაწვება წნეხი,
დრო დედის სახეს ამჩნევია ნაოჭად, ღარად,
მე კი ვგრძნობ ისე, თითქოს რკინის ვიყო ნატეხი.

ბედნიერების მზის ქვეშ ისიც გახარებულა,
გრძნობს დიდ ეპოქის და ახალი ცხოვრების სუნთქვას,
ახარებს, ქვეყნად სიმართლე რომ დამყარებულა,
რაც ჩვენგან იცის, რის შესახებ მეზობლებს უთქვამს...

ახლა ჩვენს ბინას მზე სხივებით აღარ სცილდება.
დედა იგონებს ჩვენს ძველ ფაცხას, დახურულს ისლით,
გამთბარი გული მოგონებით თითქოს ცივდება
და იფარება მოხუც დედის წარსული ნისლით.

რამდენი რაა მისთვის ჩვენში დღეს აუხსნელი?
ფიქრად ატარებს, რაც მას ზღაპრად სმენია წინად,
მან იცის მხოლოდ — ტანჯულ ქვეყნის ის არის მხსნელი,
ვისაც მშრომელთა ბელადობა რგებია წილად.

ახლა ის უკვე ოთხმოცი წლის ზღურბლთან დამდგარა, —
ოცი წელია, რაც ის მზისქვეშ გახარებულა, —
ამბობს — სიცოცხლე კიდევ მინდა, ოცი არ კმარა,
რადგან სიმართლე ქვეყნად ახლა დამყარებულა.

სანდრო ეულის შემოქმედებითი საღამო

სანდრო ეულის სამწერლო მოღვაწეობის 30 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით, 11 თებერვალს მწერალთა კლუბში გაიმართება მწერლის შემოქმედებითი საღამო.

შესავალ სიტყვას წარმოსთქვამს ამხ. ირ. აბაშიძე, მოხსენებას სანდრო ეულის შემოქმედების შესახებ გააკეთებს ამხ. ბესო ჟღენტი.

შემდეგ — სიტყვები და მისალმებები.

დასასრულ გაიმართება კონცერტი

სანდრო ეულის ახალი წიგნები

სახელგამი მიმდინარე წელს გამოსცემს სანდრო ეულის ნაწერების ერთტომეულს. წიგნში შეტანილ იქნება რჩეული ლექსები და პოემები. გარდა ამისა, საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტერატურის გამომცემლობა სცემს ეულის ლექსების კრებულს.





სანდრო ეულის პოეზია

ბესო ჟღენტი

საქართველოს საბჭოთა სამწერლო საზოგადოებრიობა აღნიშნავს სანდრო ეულის პოეტური მოღვაწეობის 30 წლისთავს. მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიაში სანდრო ეულს თავისი საკუთარი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. მის სახელთან უშუალოდ არის დაკავშირებული საქართველოში პროლეტარიატის კლასობრივი ლიტერატურის, კერძოდ, პროლეტარული პოეზიის აღმოცენებისა და განვითარების ისტორია. ცნობილია, რომ სანდრო ეული არის ქართული პროლეტარული პოეზიის პიონერი, პირველი ქართველი მწერალი, რომლის მთელი ცხოვრება და შემოქმედება ყოველთვის იყო და არის შთაგონებული მუშათა კლასის გმირული რევოლუციური ბრძოლებით, მშრომელი ხალხის ინტერესებით და მისწრაფებებით.

პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის ნამდვილი და თანმიმდევრული აღმავლობა საქართველოში მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ იწყება. მხოლოდ საბჭოთა საქართველოს გარემოცვაში ჰპოვა სოციალისტურმა ლიტერატურამ თავისი აყვავებისა და შეუნელებელი წინსვლელობისათვის აუცილებელი პირობები და შესაძლებლობები. მანამდე კი ნამდვილი პროლეტარული მხატვრული შემოქმედების ნიმუშები იშვიათად გვხვდება ქართულ მწერლობაში. რევოლუციამდელ ქართულს მწერლობაში ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პროლეტარული მწერლობის წინამორბედებს, ნამდვილად პროლეტარული მწერლები-კი, ისეთი მწერლები, რომლებიც მთელ თავიანთ შემოქმედებას უშუალოდ უკავშირებდნენ პროლეტარიატის საბრძოლო პრაქტიკას, ჩვენში რევოლუციამდე ერთეულების სახით გვევლინებოდნენ, და უნდა ითქვას, რომ მათი ხვედრითი წონა რევოლუციის წინა პერიოდის ქართულს მწერლობაში სრულიადაც ვერ გამოხატავდა იმ როლსა და მნიშვნელობას, რომელიც ამ პერიოდის ქართულ სოციალურ სინამდვილეში მოპოვებული ჰქონდა საქართველოს გმირ მუშათა კლასს, როგორც ეპოქის მოწინავეს და ავანგარდულ სოციალურ ძალას.

და მაინც, თუ რევოლუციის წინაპერიოდის ქართულს ლიტერატურაში ჩვენ ვხედავთ, თუმცა არა საკმაოდ ძლიერს, და არა ღრმად გამოვლინებულ მიმდინარეობას პროლეტარული მხატვრული ლიტერატურისას, ამ მხრივ პირველ ყოვლისა უდაოდ სანდრო ეულის შემოქმედება ყურადღებას იქცევს.

სანდრო ეული პოეტური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა ორი რევოლუციის შუა პერიოდში, თვითმპყრობელური რეაქციის განსაკუთრებული მძვინვარების წლებში. ეს პერიოდი ქართულს ლიტერატურაში ხასიათდება დაცემულობისა და უიმედობის, ღრმა სოციალური სევდისა და დეპრესიის მოტივებით. ჩვენს მწერლობაში ისახებიან და ბატონდებიან ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული მიმდინარეობანი მათთვის დამახასიათებელი ესთეტიზმით, უკიდურესი ინდივიდუალიზმით, მისტიციზმით.

სანდრო ეულს მხოლოდ ქრონოლოგიური კავშირი თუ აქვს ასეთ ლიტერატურულ გარემოცვასთან. არსებითად-კი თავისი პოეზიის იდეებით, თემებით და ფორმის მხრივაც იგი გაბატონებული ლიტერატურული გემოვნებისა და ტრადიციების არავითარ ზეგავლენას არ განიცდის. სავსებით გულწრფელია და მართალი პოეტის განცხადება:

„მე კი „ცისფერთა“
არ ვარ ნაცნობიც,
„ლურჯი ლექსისთვის“
არ მიწერია.
სინაზე ლექსში
მქონდა ნაგმობი
და მხოლოდ ჩანგი
ამიჟღერია“.

ცხადია, რომ სანდრო ეულის პოეტურ ბიოგრაფიაზე ღრმა ზეგავლენა მოახდინა მისმა სოციალურმა წარმოშობამაც, მძიმე ხვედრმა, ცხოვრების აუტანელმა პირობებმა, რომლებიც თან დაჰყვა მომავალ პოეტს თავისი ბავშვობის პირველ წლებიდანვე.

ჩვენ ვიცით, რომ სანდრო ეული მშრომელი გლეხობის უღარიბეს ფენებიდან არის გამოსული, რომ მისი ბავშვობის წლებმა გაუხარელ სიღარიბესა და გაჭირვებაში განვლეს, რომ მომავალი პოეტი ძალიან ადრე გახდა იძულებული დაეწყო დამოუკიდებელი ბრძოლა საკუთარი შრომით საარსებო საშუალებათა მოსაპოვებლად, რომ მისი დაჟინებული სწრაფვა ცოდნისა და განათლებისაკენ ყოველთვის მკაცრსა და გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდებოდა.

დამახასიათებელია, რომ სანდრო ეულის პირველი ნაბეჭდი ლექსი გამოხატულებაა პოეტის გულისწყრომისა და მიმართულია ერთი მოხელის წინააღმდეგ, რომელთანაც, როგორც თვითმპყრობელობის ერთგულ მსახურთან, ახალგაზრდა სანდროს მძაფრი შეჯახება მოუხდა. ამ ლექსში უკვე მოსჩანს პოეტის მებრძოლი მარშრუტი.

„აღთქმულ ქვეყნისკენ მე გავეშურე
ცეცხლიან გულით,
აღტაცებულმა
მღელვარე ზღვაში მედგრად შევცურე“.

უეჭველია, რომ სანდრო ეულის ახალგაზრდული შეგნება ყალიბდებოდა იმ უკიდურესი ჩაგვრისა და მონობის, იმ ბარბაროსული დამცირების და შევიწროების შთაბეჭდილებათა ზეგავლენით, რომლებსაც განიცდიდა პოეტის წარმოშობი მშრომელი ხალხი რეაქციის ბნელსა და სუსხიან წლებში. არ შეიძლებოდა პოეტს თავის თავზედაც არ განეცადა იმდროინდელი სოციალური წყობილების მთელი ველურობა და უკუღმართობა. ამიტომაც მისი პოეტური ცხოვრების პირველივე ნაბიჯები აღბეჭდილია მღელვარე გულისწყრომით და პროტესტით. თავის ერთ-ერთ ავტობიოგრაფიულ ლექსში „ეული“ პოეტი მარტივი და წრფელი სიტყვებით გვაცნობს თავის მწარე ხვედრს წარსულში. ეს იყო ხვედრი მშრომელი ხალხის შვილისა და სწორედ ამით ხსნის თვითონ პოეტიც, რომ მისი ნებისყოფა, მისი სულისკვეთება ამ აუტანელ დევნასა და შევიწროებაში გამოიწრთო:

„და მქონდა გული
გარკინებული,
სული კი... სული
აცეცხლებული,
ფრთებაშლებული,
გაფეთრებული,
განწირული და
ამბოხებული“.

სანდრო ეულის პოეტური შემოქმედების პირველი პერიოდისათვის დამახასიათებელია ის, რომ ყველაზე საყვარელ მხატვრულ სახეს მისთვის ცეცხლი შეადგენს, ცეცხლი, როგორც რევოლუციური მგზნებარების სიმბოლო, როგორც ძველი სამყაროს გამანადგურებელი სტიქია:

„ჩემი ჩანგი ცეცხლი არის
ცეცხლში იშვა ჩემი რწმენა;
ცეცხლში არის ჩემი ბედი,
სიხარული, აღმაფრენა...“

თავის პოეზიის უმაღლეს დანიშნულებად სანდრო ეულს ამ პერიოდში სწორედ ამ ცეცხლის გაჩაღება და გაღვივება მიაჩნია. თავისი მხატვრული სიტყვის ძალა მას იმ „საბერველად“ წარმოუდგენია, რომელმაც ეს ცეცხლის ალი უნდა დაიცვას რეაქციის ქართა ქროლვისაგან, გააძლიეროს და აღვივოს იგი:

„მაშ ჩადექი მკლავში, ძალავ,
მომავალი ვეძდოთ, გრძემლო,
არ ჩაგვიქრეს ცეცხლის ალი,
დაუბერე, საბერველო!“.

საბრძოლო მოწოდება მშრომელი ხალხისადმი, — ასეთია სანდრო ეულის რევოლუციამდელი პოეტური შემოქმედების მთავარი მოტივი. იგი მოუხმობს კაპიტალისტურ-მემამულური წყობილებით უსაზღვროდ ჩაგრულსა და დამცირებულ ხალხს საბრძოლო ამხედრებისაკენ; ისწრაფვის დანერგოს ხალხის შეგნებაში მომავლისადმი რწმენა, იმედი, ოპტიმისტური აღტაცება:

„გამოდით, გამოდით, შვილებო
ქარხნების,
გამოდით ქუჩებში ბრძოლის
სიმღერებით;
დღეს ხომ ჩვენი დღეა, მებრძოლთა
აღგზნების,
ვიცინით, ვიხარით შრომის
ნეტარებით“.

რასაკვირველია, ამ პერიოდის სანდრო ეულისათვის მიუწვდომელიც იქნებოდა და მიუღებელიც ის დახვეწილი, რაფინირებული პოეტური ფორმა, ლექსის ის თვალისმჭრელი სამკაულები, რომლებიც დამახასიათებელი იყო დეკადენტური პოეტური კულტურისათვის. მძიმე ყოველდღიურ შრომაში ღრმად ჩაფლულ ახალგაზრდა პროლეტარულ პოეტს, რომელიც მწვავედ განიცდიდა კონფლიქტს და მტრულ განწყობილებას ბურჟუაზიულ-მემამულურ სამყაროს მიმართ, გაუძნელდებოდა მიეგნო სოლიერი ნათესაობის შემხვედრი რგოლებისათვის კლასიკური ქართული და უცხოური მწერლობის კორიფეების შემოქმედებაში, მათი მემკვიდრეობის ნიადაგზე გამოემუშავებინა და გამოეწრთო თავისი პოეტური ხმა. პოეტი უწინაპროდ გრძნობდა თავს და თვითონ იკაფავდა საკუთარ შემოქმედებითს გზას. თუ რაიმე მემკვიდრეობის კვალს ვამჩნევთ სანდრო ეულის რევოლუციამდელ შემოქმედებაში, ეს პირველ ყოვლისა იროდიონ ევდოშვილის პოეზიიდან მომდინარე კვალია:

„შენ მაგ გემიდან გადმოზიდე მძიმე
ყუთები,
შიგ ჩაწყობილი საქონელი ეკუთვნის
მდიდრებს.
გაიგე, ძმაო, ტანჯვა არის შენი
წუთები,
და შენი სისხლი, შენი ოფლი
მდიდრებს ასუქებს“.

ეს სტრიქონები ადრინდელი ლექსიდან „მუშა-მეკურტნე“ გასაღებს გვაძლევს იმის გასაგებად, თუ რომელ პოეტურ ტრადიციაზე აიდგა ფეხი სანდრო ეულმა, როგორც პოეტმა. რასაკვირველია, ირ. ევდოშვილის შემოქმედების მხოლოდ პირველი პერიოდი, რევოლუციის აღმავლობის წლების მისი პოეზია შეიძლებოდა ყოფილიყო სანდრო ეულისათვის მისაღები, როგორც, ერთგვარი საფუძველი, გამოსავალი წერტილი საკუთარი შემოქმედებითი გზის ძიების საქმეში.

პოეტური მეტყველების საშუალებათა სფეროში სანდრო ეული თავის შემოქმედებითი ევოლუციის პირველ საფეხურზე ყველაზე მეტად ე. წ. „დემოკრატიული სკოლის“ პოეტებს უახლოვდება. ცხადია, ეს სრულიადაც არ მოასწავებს ს. ეულის იდეურ ნათესაობას და მით უმეტეს იდეურ იგივეობას ხსენებული სკოლის მწერლებთან.

რევოლუციამდელი პერიოდი სანდრო ეულის შემოქმედებაში მთავრდება 1921 წლის 15 თებერვალს ქუთაისის ციხეში დაწერილი ლექსით „წითელ საქართველოს“. ამ ლექსში პოეტმა აღფრთოვანებით უმღერა სოციალისტური რევოლუციის მოახლოებულ გამარჯვებას საქართველოში, სოციალური თავისუფლებისა და სამართლიანობის მზის საბოლოოდ ამობრწყინებას საქართველოს ცაზე:

„დღის გაფრქვევა, გაქროება
შენ სხივები მზისა,
შენი მთების ნაპრალებში
ღამე შიშით კრთის.
წითელ მთებში იწურება
ღამის შავი ფრთები
და ბარად კი ობლად ძრწიან
ნისლის ნაფლეთები“

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სანდრო ეული აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობს პოეზიის დარგში, ათავსებს რა ამ შემოქმედებითს მუშაობას მრავალმხრივ საზოგადოებრივ - პრაქტიკულ საქმიანობასთან სოციალისტური კულტურის სხვადასხვა უბანზე.

თემატიურად სანდრო ეულის პოეზია შეიცავს საბჭოთა საქართველოს ზრდისა და წინსვლელობის ყოველი მნიშვნელოვანი პროცესის ანარეკლს. პოეტი ეხმაურება ჩვენი ქვეყნის სამეურნეო - პოლიტიკური ცხოვრების ყოველ მნიშვნელოვან მოვლენას. ამ მხრივ სანდრო ეულის შემოქმედება ღრმა თემატიური აქტუალობით და იდეური მიზანდასახულობით ხასიათდება.

ლექსების მთელ ციკლში იგი ასახავს ქართველი ხალხის ბრძოლას საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის. მთელ ციკლს ლექსებისას უძღვნის პოეტი მუშათა კლასის გენიალურ ბელადს და მასწავლებელს დიდ ლენინს. საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიის აღმავლობას პოეტი გამოეხმაურა ლექსებისა და პოემების მთელი წყებით, როგორიცაა მისი „ზაჰესი“, „აბჰესი“, „ჩათახი“ და სხვა. მრავალი ლექსი უძღვნა სანდრო ეულმა სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის თემას. ამ ციკლის ლექსებს შორის აღსანიშნავია მისი „მამა დელეგატი“. იგი ავტორია მრავალი რევოლუციური სასიმღერო ლექსისა, პოეტური მარშისა, სხვადასხვა რევოლუციური თარიღებისადმი მიძღვნილი ჰიმნებისა.

თემატიურ აქტუალობასთან და იდეურ მიზანდასახულებასთან ერთად სანდრო ეულს ახასიათებს შემოქმედებითი სიუხვე, ინტენსივობა და დიდი ნაყოფიერებაც.

მისი შემოქმედებითი ევოლუცია უკანასკნელი წლების მანძილზე მიმდინარეობს მხატვრობის იმ პლაკატური ფორმების, განყენებული, აბსტრაქტული მოტივების, ე. წ. „კოსმიზმის“ დაძლევის ნიშნის ქვეშ, რაც დამახასიათებელი იყო პირველი თაობის პროლეტარული მწერლობისათვის ჩვენში და, კერძოდ, სანდრო ეულის პოეზიისათვისაც რევოლუციის პირველი წლების მანძილზე.

სანდრო ეული თანმიმდევრულად ისწრაფვის—იდგეს ჩვენი ქვეყნის პოეტური კულტურის განვითარების დონეზე, ნაბიჯი გაუსწოროს მისი აღმავლობის ყოველ ეტაპს. უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში სანდრო ეულის პოეტურ შემოქმედებაში უეჭველად თვალსაჩინო ძვრებს ჰქონდა ადგილი, როგორც პოეტურ სახეთა მეტის კონკრეტულობისა და რეალურობის თვალსაზრისით, ისე ლექსის ფორმის მეტი მხატვრულობისა და დახვეწილობის თვალსაზრისითაც.

სანდრო ეული შემოქმედებაშიაც ამართლებს იმ დეკლარაციას, რომელიც მან მოგვცა თავის ლექსში „პატაკი პარტიას“:

„დღის თუ მტრები გარს გვარტყია,
ვით ღრუბლები მზესა,
მეც კვლავ, ჩემო კომპარტიავ,
გიმხნავ ბრძოლის ლექსსა,
შენს რიგებში, მებრძოლებში
მხნედ მიგულე მეც“.

რაც დრო გადის, მით უფრო მეტის ენერგიით და ძალით აწვითარებს სანდრო ეული შემოქმედებითს მუშაობას. ამის საბუთს წარმოადგენს მისი ლექსების ციკლი— „ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი“, რომელშიაც პოეტი გამოხატავს თავის ღრმა პატრიოტულ გრძნობას ჩვენი სოციალისტური სამშობლოსადმი, უსაზღვრო სიყვარულსა და ერთგულებას ხალხთა გენიალური ბელადის დიდი სტალინის მიმართ. პოეტი გვიხატავს აღორძინებულ საქართველოს მზიური ცხოვრების ნათელ სურათს და უმღერის სტალინის გენიით გაცისკროვნებულ მშობლიურ ქვეყანას.

„ქვეყანა, სადაც იშვა ბელადი,
უხვი არის და ბარაქიანი,
თავს დაქათქათებს ამ ქვეყნის მიწას
ჩვენი ვარსკვლავი ხუთქიმიანი
ჩვენმა ქვეყანამ შეთხზა სიმღერა,
მილიონების მრავალხმიანი —
დიდო ბელადო, მას გიმღერს მიწა,
მაღალი მთები თეთრითმიანი“.

სანდრო ეულის ლექსი „ბელადი დედისთან“ ეკუთვნის ქართველი პოეტების მიერ დიდი სტალინისადმი მიძღვნილ რჩეულ ნაწარმოებთა რიცხვს. სანდრო ეულის პოეზიაში მკაფიოდ არის გამოხატული საბჭოთა ხალხის მაღალი ინტერნაციონალური შეგნება. მისი ლექსები „სომხეთის პოეტებს“, „შავი ქალაქი“ და სხვა ხალხთა სტალინური მეგობრობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეით არიან შთაგონებულნი.

მთელ რიგ ლექსებში პოეტი გვიხატავს აღორძინებულ საქართველოს დღევანდელი მზიური სინამდვილის კონკრეტულ სურათებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი „აჭარის ქარხანა“, „სტალინის მთაზე“ და სხვ. მთელ ქართულ პოეზიასთან ერთად სანდრო ეული ლექსების მთელი ციკლით გამოეხმაურა დიადი სტალინური კონსტიტუციის ტრიუმფს—სოციალისტური დემოკრატიის ზეიმს—საბჭოთა კავშირის და საქართველოს უმაღლესი საბჭოების არჩევნების სახალხო სადღესასწაულო დღეებს.

სანდრო ეულის პოეზია გაისმის როგორც აღტაცებული, იმედიანი და ხალისიანი მოწოდების ჰიმნი:

„ყოველი წუთი სიხარულია,
ყოველი წამი—ბედნიერება!
ბელადი ყველას საყვარულია,
მისი სახელი არის დიდება.
ბედნიერია ცხოვრება ახლა,—
მივქრივართ წინ და სულ მაღლა,
მაღლა“.

სანდრო ეულის პოეზია არ განისაზღვრება მარტო პოლიტიკური ლირიკის ჟანრით. იგი აქტიურად მუშაობს აგრეთვე ახალი ქართული პოეტური ეპოსის სფეროში. მის კალამს ეკუთვნის მთელი რიგი პოემები, როგორიცაა, მაგალითად, „ეპოქის ავტორი“. „ფოლადის პოეტი“, „გმირი“, „ქალადიდი“, „ტარას შევჩენკო“ და სხვ.

უეჭველია, მომავალში სანდრო ეული უფრო მეტის ენერგიით და შემოქმედებითი გატაცებით განაგრძობს ბრძოლას და მუშაობას ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერი პოეტური ხარისხისათვის. ამის თავდებია და საწინდარია სანდრო ეულის მთელი შემოქმედებითი ბიოგრაფია.

ა. ისაკიანი

ეხლახან შესრულდა საბჭოთა სომხეთის შესანიშნავი პოეტის ავეტიკ ისაკიანის დაბადების 65 წლისთავი. ამ დიდი შემოქმედის სახელთან არის დაკავშირებული ახალი სომხური პოეზიის განვითარების სახელოვანი ფურცელი.

ა. ისაკიანი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში. ისაკიანის ლექსების პირველი წიგნი — „სიმღერები და ჭრილობები" 1898 წელს გამოვიდა. მან მაშინვე მიიპყრო მკითხველი საზოგადოების ყურადღება თავისი ორიგინალობით და გრძნობის უშუალობით.

ი. იონისიანთან და ო. თუმანიანთან ერთად ა. ისაკიანი ის მწერალია, რომელმაც უდიდესი სიახლე შეიტანა სომხურ ლიტერატურაში. მისი ლირიკა ხალხურ ნიადაგზეა აღმოცენებული. ამას აღიარებს თვითონ მწერალი, როდესაც ამბობს: „ჩემი საყვარელი მწერლობა იყო ყველა ხალხის ფოლკლორი". ხალხური შემოქმედება მისთვის მარტო სიყვარულის ობიექტს არ წარმოადგენს, იგი გადატყდა მთელ მის შემოქმედებაში. ა. ისაკიანის ზოგიერთი ლექსი იმდენად ხალხურ კილოზეა დაწერილი, რომ არც კი გამოირჩევა ხალხური პოეზიიდან.

ა. ისაკიანის მიერ ხალხურ კილოზე შექმნილ ლექსებს მრავალი ათეული წელია მღერის სომხეთის მშრომელი ხალხი. ამ ნამდვილ ხალხურ ნაწარმოებებში პოეტმა გვიჩვენა გლეხობის ცხოვრება, სიყვარული შრომისადმი, ბუნებისადმი, მიწისადმი.

ა. ისაკიანის მიერ ხალხურ კილოზე შექმნილი ლექსები, რომლებიც თავმოყრილია საერთო სათაურით „აშუღის სიმღერები", საუკეთესოა მთელ სომხურ ლიტერატურაში.

ა. ისაკიანი დაიბადა 1875 წელს, 31 ოქტომბერს, გუმბრში, პატრიარქალურ და შეძლებულ ოჯახში. თავდაპირველად სწავლობდა თავის მშობელ ქალაქში, შემდეგ ეჩმიაძინის სასულიერო აკადემიაში, ბოლოს გერმანიასა და შვეიცარიაში. იგი ისმენდა კურსს უმაღლეს სასწავლებლებში. თავისი ცხოვრების შესახებ პოეტი სწერს: „გარეგნული მხრით ჩემი ცხოვრება ძალიან მდიდარი და მრავალფეროვანი იყო: ციხე, გადასახლება, ისევ ციხე, გაქცევა, ემიგრაცია დიდი ხნით, მაგრამ, არსებითად, შინაგანი შინაარსით ყოველთვის მოუსვენარი, დაუდეგარი და დაუკმაყოფილებელი. მუდმივი ნაღველი, გაუხარელი სიყვარული, ავადმყოფობა, მახლობელ მეგობართა დაკარგვა და საზოგადოებრივი და ნაციონალური უბედურება".

ა. ისაკიანის პოეზიაში მთავარი ადგილი დათმობილი აქვს სომეხი ხალხის ძველი, რევოლუციამდელი ცხოვრების საშინელი პირობების განცდას და აგრეთვე პოეტის პიროვნულ უბედობას.

პოეტი სწერს ლექსებს სიყვარულზე, მაგრამ ეს სიყვარული გაცრუებული და უნუგეშოა. შეიძლება ითქვას, რომ სომხურ პოეზიაში მანამდე არავინ მღეროდა ისე ღრმად და ტრაგიკულად სიყვარულზე, როგორც ეს მოცემულია ა. ისაკიანის შემოქმედებაში. იგი ჰქმნის ლირიკულ გმირს, რომლის ცხოვრებაც გამსჭვალულია მხოლოდ სიყვარულის გრძნობით.

ა. ისაკიანის პოეზიაში შესამჩნევია სიმბოლიზმის გავლენა. მაგრამ მთლიანად იგი რომანტიკოსი პოეტია.

ა. ისაკიანის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პოემას „აბულ ალა მაარის". იგი ტიპიური რომანტიული ნაწარმოებია. ამ პოემის გმირია ცნობილი არაბი პოეტი აბულ ალა მაარი, რომელიც სტოვებს მშობელ ქალაქს, ხალხს და მიდის უდაბნოში, უადამიანო მხარეში. თავისუფალ, ნათელ და მიმზიდველ შორეთში. იგი მიისწრაფის მზისაკენ, რომელიც სიმბოლურად გამოხატავს თუმცა გაურკვეველ, მაგრამ ნათელ მომავალ ცხოვრებას.

„აბულ ალი მაარის" შესახებ ვალერი ბრიუსოვი სწერდა: „ამ პოემაში ა. ისაკიანი გამოდის, როგორც ევროპიელი მწერალი, ისახავს რა იმავე ანდა მის მაგვარ მიზანს, რომელსაც ისახავენ სხვა ხალხთა ლირიკოსები: ფრანგები, გერმანელები, რუსები... ამ პოემიდან შეიძლება დავასკვნათ, თუ რა დიდი ოსტატი ჰყავს სომხურ მწერლობას ავეტიკ ისაკიანის სახით. დამახასიათებელია, რომ მას თავისი პოემის მთავარ გმირად გამოყვანილი ჰყავს არაბი პოეტი და რომ მთელი ეს პოემა გაჟღენთილია აზიის განცხრომითა და სილამაზით."

მეტად საინტერესო და საყურადღებოა ა. ისაკიანის „აბულ-ალა მაარის" შეხვედრა ნ. ბარათაშვილის „მერანთან". ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაითვალოს „აბულ ალა მაარის" პროტოტიპად. ამ გარემოებას აღნიშნავს ა. ისაკიანი 1929 წელს დაწერილ წერილში:

„მოხარული ვარ, შეძლება მაქვს განვაცხადო, რომ ჩემი უფროსი ძმა — ნიკო ბარათაშვილი იყო ამ პოემის შთაგონება.

„მისმა უმშვენიერესმა „მერანმა" მე თავდავიწყებით გამიტაცა.

„აბულ ალა მაარის" ქარავანი ბარათაშვილის მერანის კვალს მისდევს".

ა. ისაკიანის რევოლუციამდელი შემოქმედებისათვის დამახასიათებელია წინააღმდეგობა და მერყეობა. მის ლექსებში ერთმანეთის გვერდით მოცემული იყო მწუხარების, გულგატეხილობის მოტივები და იმედიანობის, მომავლის რწმენის შეგნება. პოეტს სჯეროდა ხალხის განთავისუფლება საუკუნებრივ მონობისაგან და ქვეყნად სიმართლისა და თავისუფლების გამარჯვება. პირველი რევოლუციის აღმავლობის წლებში ა. ისაკიანი მოუწოდებდა მშრომელთ — ებრძოლათ ჩაგვრისა და მონობის მოსასპობად.

ა. ისაკიანის შემოქმედებით მუშაობას შესაფერი ასპარეზი მიეცა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. რევოლუციის წლების მანძილზე მან შექმნა მრავალი საყურადღებო პოეტური ნაწარმოები.

ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ ა. ისაკიანმა 1937 წელს დაასრულა პოემა „მჭერი სასუნიდან", რომელიც ო. თუმანიანის „დავით სასუნცისთან" ერთად სომხური ხალხური ეპოსის დამუშავებას წარმოადგენს.

სოციალისტურმა სინამდვილემ გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა ა. ისაკიანის შემოქმედება, მისცა მას ახალი ფერები და სალებავები. ეხლა პოეტი მუშაობს დიდ პოემაზე **ლენინის** შესახებ.

ა. ისაკიანმა სამართლიანად დაიმსახურა ხალხის სიყვარული. მისი პოეტური შემოქმედება თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს სომხურ პოეზიაში.

დ. არუტ.

საზღვარგარეთ

ინგლისში იხურება თეატრები

ამ რამოდენიმე ხნის წინად მანჩესტერის დრამატიული თეატრის დირექციამ განაცხადა, რომ სახსრების უქონლობის გამო თეატრს აღარ შეუძლიან მუშაობა განაგრძოს. ამის გამო გაზეთ „მანჩესტერ გარდიანში" მოთავსებული იყო ბირმინჰამის თეატრის რეჟისორის ჰერბერტ პრენტისის წერილი, რომელშიაც იგი სწერდა: „დიდად შემაწუხა ცნობამ მანჩესტერის თეატრის დახურვის შესახებ. საშინელებაა რომ ეს თეატრი იხურება მაშინ, როცა მისი მუშაობა ასე საჭიროა. გვარწმუნებენ, რომ ინგლისი ომს აწარმოებს კაცობრიობისა და ცივილიზაციის გადასარჩენად ნგრევისაგანო. იმ დროს, როცა თვითონ ინგლისში არ ეხმარებიან ჩვენს კულტურულ და მხატვრულ წამოწყებებს. უმიზნოა იბრძოლო კულტურისათვის მაშინ, როდესაც ჩვენ თითონ ვხურავთ საუკეთესო კულტურულ დაწესებულებებს. თუ ჩვენ ჩვენსავე სახლში არა ვართ მზად ვიბრძოლოთ კულტურისათვის, არავითარი უფლება არა გვაქვს ვილაპარაკოთ ომზე კულტურის დასაცავად."

იმავე ნომერში მოთავსებულია ცნობა, რომ კრედიტორების კომიტეტი ეცნობა მანჩესტერის თეატრის საფინანსო მდგომარეობასო. მისი ყოფილი დირექტორი კი ცდილობს ხელის მოწერით შეაგროვოს ათასი სტერლინგი, რომ ამით მცირედ მაინც დააკმაყოფილოს კრედიტორები. თეატრს ვალის გადახდისათვის მისცეს ერთი კვირის ვადა, რის შემდეგაც კრედიტორების კომიტეტი ასწერს თეატრის ქონებას.

„არ არის ფული—არ არის მუსიკა"

გაზეთ „დეილი უორკერში" მოთავსებული იყო შენიშვნა ასეთი სათაურით: „არ არის ფული — არ არის მუსიკა". გამოირკვა, რომ მუსიკალური კულტურის ლონდონის საზოგადოებამ გამოსცა მოწოდება საზოგადოებრივი ფონდის შექმნის შესახებ. ამ ფონდს საზოგადოება აგროვებს, რათა ლონდონის ფილარმონიის ცნობილმა სიმფონიურმა ორკესტრმა არსებობა შეძლოს.

„მის მანდეი"

ამერიკულ გამომცემლობას „დეილს" გამოცხადებული ჰქონდა კონკურსი საუკეთესო რომანზე სკოლის ცხოვრებიდან. კონკურსზე წარდგენილ 400 ხელნაწერიდან პრემია ხვდა რომანს „მის მანდეის", რომლის ავტორიც არის ჩიკაგოელი მწერალი-ქალი სოფიო ბელცერ ინგსტრენდი (იგი პროფესიით მასწავლებელი და ბიბლიოთეკარია). „მის მანდეიში" ავტორი აგვიწერს ახალგაზრდა მასწავლებლის თავგადასავალს. როგორც ცნობილია, ამერიკის უმეტეს ქალაქებში არსებობს ასეთი წესი: თუ სკოლის მასწავლებელი-ქალი გათხოვდა სკოლის ადმინისტრაციის დასტურის გარეშე, იგი ჰკარგავს სამსახურს. ამ რომანის მთავარ გმირს უყვარს ისეთი ადამიანი, რომელიც სკოლის ადმინისტრაციას არ მოსწონს. ქალის წინაშე ისმება კითხვა: ან მიატოვოს სკოლა და თავისი საყვარელი პროფესია, ან უარი უთხრას საყვარელ კაცს და გათხოვებაზე ხელი აიღოს. წიგნში მოცემულია ბრძოლა მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციას შორის, რომელიც უხეშად ერევა მასწავლებელთა პირად ცხოვრებაში. რომანში აღძრულია ამერიკელ მასწავლებელთათვის მეტად მტკივნეული საკითხები.

რომანის ავტორი უსათუოდ ნიჭიერი მწერალია. როგორც ირკვევა, მწერალ-ქალს დიდი გაჭირვება გამოუვლია. მთელი ოჯახი: თვითონ, მისი ქმარი და პატარა ქალიშვილი სცხოვრობდნენ იმ მცირეოდენი დახმარებით, რომელსაც მას უმუშევრობის გამო აძლევდნენ. ერთ წელიწადზე მეტია, რაც მწერალი ქალი და მისი ქმარი უმუშევრები არიან. როცა სოფიო ინგსტრენდმა მიიღო ცნობა, რომ მის რომანს პრემია მიეკუთვნა, მწერალ-ქალს მხოლოდ 2 დოლარი და 39 ცენტი ჰქონდა. ახლა ოჯახი უზრუნველყოფილია ნახევარი წლით. შემდეგ მის წინაშე კვლავ დაისმება კითხვა — რით იცხოვროს? ჯერ ხომ გამოურკვეველია — რა ბედი ეწევა მის წიგნს, როგორ გასაღდება იგი.

ასეთი მწერალი ამერიკაში მრავალია. ასეთ მდგომარეობაში არიან დრამატურგებიც, პოეტებიც. ამავე ბედს განიცდის მრავალი მსახიობი და მხატვარი. მათ არა აქვთ არავითარი პირობა შემოქმედებითი ზრდისათვის, არავითარი სახსარი არსებობისათვის. ხშირად მათ არ მოეპოვებათ იმდენი ფულიც კი, რომ ფოსტით კონკურსზე გაგზავნონ თავიანთი ხელნაწერები ან სურათები.

„აკრძალული წიგნები"

ნიუ-იორკის გამომცემლობამ რ. ბოუკერმა გამოსცა ე. ხეგის ნაშრომი: „აკრძალული წიგნები". შენიშვნები იმ წიგნების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა მიზეზით და სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქვეყანაში აიკრძალა".

ავტორი გვაწვდის მრავალ საყურადღებო ცნობას მწერალთა დევნის შესახებ, უმთავრესად პოლიტიკური და მორალური მოტივებით.

ამერიკის შეერთებულ შტატებში უკანასკნელი წლების მანძილზე აკრძალული წიგნების პრაქტიკიდან ყურადღებას იქცევს შემდეგი: 1922 წელს ცინცინატის შტატში ხელისუფლებამ აკრძალა ბოკაჩიოს „დეკამერონი", რომელიც გამოცემული იყო შემოკლებით და შესწორებით. ამ წიგნის გამომცემელს გადაახდევინეს ათასი დოლარი ჯარიმა. 1926 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრძალეს „დეკამერონის" შეტანა.

1931 წელს ეს აკრძალვა გაუქმებულ იქნა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია პოლიციისათვის დეტროიტში კონფისკაცია ეყო „დეკამერონის" ყველა ეგზემპლიარისათვის. ბოსტონში „დეკამერონი" დღემდე აკრძალულია.

1930 წლამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში აკრძალული იყო ფრანსუა რაბლეს ნაწარმოებები.

ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკებიდან ამოღებულ იქნა შექსპირის „ვენეციელი ვაჭარი" იმ საბაბით, რომ იგი „წინააღმდეგობის იდეას" ქადაგებსო.

ხემინგუეის წიგნი „ძირს იარაღი" იტალიაში აკრძალულია „პოლიტიკური უტაქტობის" გამო, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, ბოსტონში — იმიტომ, რომ „მოკლებულია მორალურ კეთილსინდისიერებას".

„შექსპირი—ადამიანი და მწერალი"

მკვლევარ ედგარ ფრიპის მთელი რიგი გამოკვლევები შექსპირის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა იყო დიდი შრომისათვის „შექსპირი ადამიანი და მწერალი". ეს გამოკვლევა ავტორის გარდაცვალების შემდეგ ორტომად გამოაქვეყნა „ინივერსიტი პრესმა". ფრიპი გარდაიცვალა 1931 წელს.

როგორც გამომცემლობა აღნიშნავს, „მთავარი ინტერესი ამ ორი ტომისა ბიოგრაფიული და ისტორიულია, თუმცა მასში იმავე დროს განხილულია შექსპირის პიესების მხატვრული მხარეც. ფრიპის მთავარ ამოცანას ესთეტიკური კრიტიკა არ წარმოადგენს.

თავისი საფუძვლიანი შრომის წინასიტყვაობაში ავტორი სწერს: „მე ვცდილობდი შემესწავლა და მეჩვენებინა შექსპირი იმ გარემოცვაში, რომელშიაც ის იმყოფებოდა — გეოგრაფიულ, ოჯახურ, საზოგადოებრივ, თეატრალურ, ლიტერატურულ გარემოცვაში". მიუთითებს რა მრავალ ბიოგრაფიულ და ისტორიულ წყაროზე, რომლითაც ფრიპი სარგებლობდა, იგი განაგრძობს: „მრავალი ცნობა ამოვიღე აგრეთვე შექსპირის ლექსებიდან და პიესებიდან. მათში მრავლად არის მოცემული თავისი დროის ადამიანი და მოვლენა. ყველა, ვინც ახლო იცნობს მწერლის სახელოსნოს, იცის, რომ ხშირად იგი პიროვნებებს, თვით მათ დეტალებსაც-კი ჰქმნის იმ ნიმუშების მიხედვით, რომლებიც აღებულია ნაცნობი ცხოვრებიდან. შექსპირი მწერალი არ იქნებოდა, რომ ასევე არ მოემოქმედა. იგი თავის გარემოცვას გვიხატავს და იმავე დროს გვიჩვენებს უფრო მეტს. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ შექსპირს თავის ნაწარმოებში მეტწილად გადაჰქონდა სინამდვილე და გარდაჰქმნიდა მას მხატვრულად.

მარტინ ანდერსენ-ნექსეს მოწოდება ახალგაზრდობისადმი

სტოკჰოლმში ჰერ მერლონგის რედაქციით გამოდის ახალი ჟურნალი „ახალგაზრდობის ხმა". ჟურნალში მონაწილეობას იღებენ შვეციის, ნორვეგიის, დანიის ცნობილი მწერლები, მათ შორის ანდერსენ-ნექსე და ნორდალ გრიგი.

ჟურნალის პირველ ნომერში მოთავსებულია მარტინ ანდერსენ-ნექსეს მოწოდება ახალგაზრდობისადმი, რომელშიც მწერალი ზიზღს უცხადებს კაპიტალისტური ქვეყნების მთავრობებს ახალი იმპერიალისტური ომის მოწყობისათვის. ანდერსენ-ნექსე მოუწოდებს ახალგაზრდებს იბრძოლონ მშვიდობიანობისათვის.

„სამშობლოს შვილები"

ამერიკულ მემარცხენე პრესაში გამოქვეყნდა სტატიები ზანგი მწერლის რიჩარდ რაიტის ახალი რომანის „სამშობლოს შვილების" შესახებ. ზოგიერთი სუსტი მხარის მიუხედავად, ეს რომანი თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის ერთერთ შესანიშნავ ნაწარმოებად იქნა ცნობილი.

ახალგაზრდა კომუნისტების ლიგის ჟურნალ „ნიუ ეჯუ პაბლისერსში" კრიტიკოსი კლოდია ჯონსი აქებს „სამშობლოს შვილებს", როგორც იშვიათ ნაწარმოებს ამერიკის ზანგი ახალგაზრდობის შესახებ და აღნიშნავს მის უდიდეს მხატვრულ ღირსებას.

ბიბლიოგრაფია

„ზამთრის ამბავი"

საბავშვო ლიტერატურა მხატვრული შემოქმედების ურთულესი დარგია. რომ დაიწეროს კარგი ნაწარმოები ბავშვებისათვის, ამისათვის მწერალს, გარდა ნიჭისა, უნდა ახასიათებდეს ნორჩი თაობის ბუნების ზედმიწევნითი ცოდნა, მხატვრული ზომიერების გრძნობა; სისადავე და პოეტურ საშუალებათა მრავალფეროვნება. ამიტომ არის, რომ ყველას არ შეუძლიან გახდეს საბავშვო მწერალი.

ქართულ საბავშვო ლიტერატურაში თავის დროზე ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შექმნეს ა. წერეთელმა, რაფ. ერისთავმა, ვაჟა-ფშაველამ, შიო მღვიმელმა, ი. გოგებაშვილმა, ი. ევდოშვილმა და სხვ. მათ ნაწარმოებებს დღესაც დიდი ინტერესით და აღფრთოვანებით კითხულობენ ჩვენი თავისუფალი და ბედნიერი ბავშვები. ამასთან ერთად იზრდება და ვითარდება ქართული საბჭოთა საბავშვო ლიტერატურა. უკანასკნელი წლების მანძილზე ქართულ ენაზე დაიწერა და გამოქვეყნდა ბევრი თვალსაჩინო ნაწარმოები ბავშვებისათვის.

ეხლახან საბლიტგამმა გამოსცა გრ. აბაშიძის საბავშვო პოემა „ზამთრის ამბავი". მასში მოთხრობილია ბავშვ გოჩას თავგადასავალი.

„ზამთრის ამბავი" იწყება ბუნების სურათის გადმოცემით:

„თოვს. ბრჭყვიალა თეთრი თოვლი
თვალს მოგჭრის და მოგიტაცებს;
თამაშობენ პატარები,
უხაროდეთ თოვლის კაცებს:
ზოგს სატევრად ცოცხს ჰკიდებენ,
ახატავენ ზოგს წვერ-ულვაშს,
ზოგს ქუდმაღალს აშენებენ,
თავს ადგამენ მოქცეულად.
თოვს. ხეები დაფარულან,
დაფარულა მთა და ველი,
ბამბასავით თოვლი მოდის,
დასდო თითქმის ცხრა მტკაველი...".

მოგუნდავე ბავშვები ორ ჯგუფად არიან გაყოფილნი: „გაღმელებად" და „გამოღმელებად". „გამოღმელები" მტკიცედ უხვდებიან თავდამსხმელ „გაღმელებს". ტყვიასავით წამოვიდა თოვლის გუნდა. დამარცხნდნენ „გაღმელები". მათ ტყემდის სდიეს „გამოღმელებმა". ამ უკანასკნელებმა ტყეში გაგზავნეს დასაზვერავად გოგი, რომელსაც ჩუმად მიჰყვა პატარა გოჩა. ტყეში გოჩა დაიბნევა, დაიღლება, ჩამოჯდება, მისდებს ხეზე თავს და უეცრად მიეძინება. ძილში მყოფ გოჩას თავს წაადგება კბილის ტკივილისაგან შეწუხებული და თავისი ბუნაგიდან გამოსული დათვი. იგი შეჭმას უპირებს მძინარე ბავშვს.

„დააკვირდა დათუნია
არხეინად მძინარ გოჩას,
მერე ფეხზე ტორი მოსდო
და თავისკენ მიაჩოჩა.
გაეღვიძა გოჩას უცებ,
წამოხტომა სცადა მარდად,
დათუნიას რომ შეხედა,
შეჰკივლა და გადავარდა".

ამ დროს ტყეში მიდიოდა წითელ ცხენოსანთა რაზმი. მისი მეთაური გადაარჩენს გოჩას, მოჰკლავს დათვს და ბავშვს წამოიყვანს დედასთან.

გოჩას სძინავს და ხედავს სიზმარს. მის წინაშე გაივლის ბუნების მიმზიდველი სურათები. ნატვრის თვალი, რომელიც გოჩას მისცა თევზმა, მას საშუალებას აძლევს ბუნების მოვლენებს შეუცვალოს სახე. გოჩა უპირველეს ყოვლისა ფიქრობს პატივი სცეს თავის მხსნელ მეთაურს. ნატვრის თვალის საშუალებით მეთაური გადაიქცევა ხან მზედ, ხან ღრუბლად, ხან ქარად, ხან კლდეთ, ხან მდინარედ.

გამოეღვიძა გოჩას. შემოესმა ქუჩიდან ხმაური:

„—დედა, ეს რა ხმაურია,
რად გუგუნებს მთელი ქუჩა?
გადახედა სარკმელს გოჩამ,
გადაწია ფარდა ზანტად:
დაწყობილი მოდიოდა
რაზმი წითელ ცხენოსანთა;
მოდიოდნენ, გუგუნებდნენ,
მათგან იყო ეს ხმაური,
რაზმს ღიმილით მოუძღოდა
გოჩას მხსნელი მეთაური.
ხედავს გოჩა ამხდარ სიზმარს,
მოდიან და იმღერიან...
— ის ყველაზე მტკიცედ მოდის,
ის ყველაზე ძლიერია!".

ასე დასრულდება პოემა. ყოველი ბავშვი ინტერესით წაიკითხავს ამ ნაწარმოებს.

„ზამთრის ამბავი" მოთხრობილია გასაგებად და ცოცხლად. იგი არ არის მოკლებული მხატვრულ ღირსებებსაც.

„ზამთრის ამბავი" ამჟღავნებს, რომ მის ავტორს ნაყოფიერად შეუძლიან იმუშაოს საბავშვო ლიტერატურის დარგშიც.

ს. ნათელაძე

ახალი წიგნები

ა. ყაზბეგის მოთხრობები რუსულ ენაზე

რუსეთის სალიტერატურო გამომცემლობა „ისტორიული რომანების" სერიაში სცემს ა. ყაზბეგის მოთხრობების კრებულს, რომელშიაც მოთავსებული იქნება: „ნამწყემსარის მოგონებანი", „ელგუჯა", „ელისო" და „ხევის ბერი გოჩა".

თარგმანი ეკუთვნის ე. ღოღობერიძეს, წინასიტყვაობა და რედაქცია ვ. გოლცევს.

„1932-1940"

ასეთი სათაური აქვს პ. ანტოკოლსკის ლექსების წიგნს, რომელიც ახლახან გამოსცა რუსეთის ლიტერატურის გამომცემლობამ.

წიგნში შეტანილია პოეტის მიერ უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში დაწერილი ლექსები.

ცალკე განყოფილებებად გამოყოფილია „საქართველო", „სომხეთი" და „ბაქო". ამ განყოფილებებში თავმოყრილია ის ლექსები, რომლებიც პოეტმა დასწერა მოძმე რესპუბლიკებში მოგზაურობის შედეგად.

ორიგინალურ ლექსებს გარდა, წიგნში შეტანილია აგრეთვე ქართველი და აზერბაიჯანელი პოეტების ლექსების თარგმანები.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის
გამომცემლობა „ფედერაცია"
გადავიდა ახალ ბინაზე პლეხანოვის პროსპექტი № 181.

ლევ ტოლსტოი და მისი ქართველი მეგობარი ილია ნაკაშიძე

ვლად. ზამბახიძე

1851 წლის შემოდგომაზე ახალგაზრდა ოფიცერი ლევ ტოლსტოი ჩრდილოეთიდან თბილისისაკენ გამოემგზავრა. მაშინ ტოლსტოი სულ 23 წლისა იყო, მაგრამ მიუხედავად ჭაბუკური ასაკისა, „ფიზიკურ და მორალურ დასვენებაზე" ფიქრობდა.

საქართველოს საზღვრებთან მოახლოვებისას, კავკასიის ზვიადი ბუნების გარემოცვაში იგრძნო მან თითქოს სულიერი და მორალური სიმშვიდე, და ამით შთაგონებული სადგურ მოზდოკიდან სწერდა თავის მამიდას, ტ. ერგოლსკაიას: „მე მგონია, კავკასიაში წამოსვლის აზრი უზენაესმა ჩამინერგა, მიყვარს ის და მუდამ მადლობას ვსწირავ. მე ვგრძნობ, რომ აქ უკეთ ვხდები".

კავკასიისადმი და კერძოთ საქართველოსადმი სიყვარული ამ დღიდან თანდათან ძლიერდებოდა მასში, და რუსულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში, პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ ტოლსტოიმ პირველმა გააცოცხლა კავკასიის თემატიკა, რომლისადმი ინტერესი რომანტიზმის დაცემასთან ერთად შენელდა.

კავკასიის თემატიკა არ იყო წამყვანი ტოლსტოის შემოქმედებაში, და ამიტომ სხვა თემებზე მუშაობის პერიოდში ის, დროებით, მეორე პლანზე მოექცა.

საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, თითქმის სიცოცხლის მიწურულში. ტოლსტოი კავკასიის თემატიკას ერთხელ კიდევ და უკანასკნელად დაუბრუნდა „ჰაჯი-მურატში", რომლის შექმნაშიც საკ. მაოდ დიდი დახმარება გაუწია მას ცნობილმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ და ლიტერატორმა ილია ნაკაშიძემ.

ტოლსტოი ამბობდა: „როდესაც ისტორიულ ამბავს ვწერ, მიყვარს, რომ წვრილმანებშიაც სინამდვილის ერთგული ვიყოო".

ცნობილია, რომ „ჰაჯი-მურატზე" მუშაობის დროს ტოლსტოიმ უამრავი ხელნაწერი და დოკუმენტი დააგროვა. მან დიდძალი ეთნოგრაფიული მასალა გადაიკითხა, ცდილობდა სხვადასხვა წყაროს საშუალებით დაწერილებით გასცნობოდა მთიელთა ყოფა-ცხოვრებას, მათს ზნე-ჩვეულებას.

ცნობილია ისიც, რომ „ჰაჯი-მურატის" სიუჟეტის გაშლისას ის ფართოდ სარგებლობდა ზისერმანის, პოლტორაცკის, პოტოს, ლორის-მელიქოვის, ყორღანოვისა და სხვათა ჩანაწერებით. სათანადო კომპოზიციურ-სტილისტიკური გადამუშავების შემდეგ მას მთელი თავები აქვს ამ ჩანაწერებიდან ამოღებული და ჩართული მოთხრობაში. [1])

ძველი რუსეთის თითქმის ყველა კუთხიდან ღებულობდა ტოლსტოი მოთხრობისათვის საჭირო ნედლ, ფაქტიურ მასალას. თბილისიდან აწოდებდნენ მას ცნობებს პედაგოგი შულგინი, სიმონ ესაძე და ილია ნაკაშიძე, რომელსაც ტოლსტოი სწერდა:[2])

„გმადლობთ თქვენი ორი წერილისათვის, ძვირფასო ილია პეტრეს-ძევ, და თქვენ მიერ გაწეული შრომისათვის.

„...თქვენ წაკითხული გაქვთ ჩემი ამბავის [3]) დასაწყისი. თუ გახსოვთ, იქ ვოზდვიჟენსკის სიმაგრიდან გაგზავნილი ჯარისკაცები „სეკრეტში" იმყოფებიან და მიიღეს ჰაჯი-მურატისაგან გამოგზავნილი ჯაშუშები. ყოველივე ეს, როგორც ახლა მომაგონდა, სწორი არ არის. ეს ადგილი რომ გავასწორო, საჭიროა.. მონახეთ 1852 წ. კავკასიაში ნამსახური მეომარი, ქვეითი ჯარის ოფიცერი, რომელიც მიპასუხებს შემდეგ კითხვებზე: 1.იგზავნებოდნენ თუ არა ციხიდან ჯარისკაცები „სეკრეტში"? 2. თუ იგზავნებოდნენ, სად იდგნენ გუშაგები, რომლებიც სიმაგრეს უეცარი თავდასხმისაგან იცავდნენ? 3. როგორ მიიღებდნენ ხოლმე გუშაგები მსტოვარებს და როგორ მიჰყავდათ ისინი უფროსებთან?

მაპატიეთ, რომ ასე გაწუხებთ.. თქვენს მეუღლეს, ნინო იოსების ასულს მოახსენეთ ჩემი გულითადი სიმპატია. რა კარგი იქნება, თუ მას ხანგრძლივ, მშვიდობიანად აცხოვრებენ მშვენიერ სამშობლოში თქვენთან ერთად ...ძმურად გკოცნით.

ლ. ტოლსტოი".

როგორც ირკვევა, ტოლსტოისაგან მიღებული დავალება ილია ნაკაშიძეს პირნათლად შეუსრულებია, „ჰაჯი-მურატის" ავტორისათვის საჭირო მასალა გაუგზავნია და პასუხად შემდეგი ბარათი მიუღია:

„საყვარელო ილია პეტრეს-ძევ! დიდი მადლობა გამოგზავნილი ცნობებისათვის. გადაეცით აგრეთვე ჩემგან მადლობა თავაზიან შულგინსა და ესაძეს. ძალიან მრცხვენიან, რომ ჩემ ნაწერებს ვუგზავნი მათ, რადგან სხვა არაფრით შემიძლიან მადლობა გადავუხადო.

იასენკაში [4]) კარგა ხანია ერთი ამანათია მოსული, უთუოდ თქვენგან იქნება. ყოველ შემთხვევაში, სთხოვეთ შულგინსა და ესაძეს, ნუღარ გაირჯებიან ჩემთვის. მე შევაჩერე „ჰაჯი-მურატზე" მუშაობა, საზოგადოდ-კი ეს მოთხრობა იმ შრომის ღირსი არ არის, რომელსაც კეთილი ადამიანები მისთვის ეწევიან. ჩემ წიგნებს მოსკოვიდან გამოგზავნიან. მე აქ ჩემს სახელსა და გვარს დავაწერ მათ. ძმურად გკოცნით, მოკითხვა თქვენს მეუღლეს.

ლევ ტოლსტოი.

1903 წ. აპრილის 27".

○

ისტორიულ ნაწარმოებში ცხოვრებასთან მჭიდროდ მისვლის, ფაქტების ადექვატური სიზუსტით გადმოცემის სურვილით გატაცებული ტოლსტოი, „ჰაჯი-მურატზე" მუშაობის დროს მარტო არქივებიდან, სხვადასხვა კრებულიდან ამოკრეფილი და მიწერ-მოწერით შეგროვებული მასალით არ კმაყოფილდებოდა. მას დიდი სურვილი ჰქონდა აგრეთვე, რომ კავკასიაში გარდახდილი შეუპოვარი და სისხლიანი ბრძოლების მონაწილე ვეტერანების ნაამბობიც მოესმინა.

ილია ნაკაშიძემ, როგორც ის თავის მოგონებაში სწერს, დიდი მწერლის ამ სურვილის განხორციელებას ენერგიულად შეუწყო ხელი.

„იმ დროს (1902 წ.), — იგონებს ნაკაშიძე, — ლევ ნიკოლოზის ძემ ზამთარიც და ზაფხულიც იასნაია პოლიანაში გაატარა. იქიდან მან აცნობა თავის მეგობრებს, რომ სურს კავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის დაპყრობის მოწმე კავკასიელი ვეტერანის ნახვა. როგორც ვიცით, ლევ ნიკოლოზის-ძე მხატვრული ნაწარმოების წერის დროს განსაკუთრებით მაღლა აყენებდა და აფასებდა იმ ცნობებს, რომლიც მას ცოცხალ ადამიანთაგან, ამა თუ იმ ამბის მოწმეთაგან ჰქონდა მიღებული.

მე ერთი ჩემი მეგობრით, დ. ნ-ით გავსწიეთ, რომ მოგვენახა ლევ ნიკოლოზის-ძისათვის ამ შემთხვევაში საჭირო კაცი. მივგვასწავლეს: მოსკოვის განაპირა უბანში არის მოხუცებულ მეომარ ინვალიდებისათვის განკუთვნილი თავშესაფარიო. ჩვენც პირდაპირ იქით გავსწიეთ იმ იმედით, რომ სწორედ იქ გამოვძებნიდით ჩვენთვის საჭირო მეომარს.

ძველ მეომართა შორის ჩვენ მალე გამოვძებნეთ აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის მოწმენი.

...ლევ ნიკოლოზის-ძეს ეს მოხუცნი კარგად იცნობდნენ, ბევრი რამ გაეგონათ იმაზე. როცა ვუამბეთ რომ ლევ ნიკოლოზისძეს პირადად სურს ინახულოს ისინი და ესაუბროს მათ კავკასიის ლაშქრობის შესახებ, ისინი სიამოვნებით დათანხმდნენ იასნაია პოლიანაში გამგზავრებაზე.

და აი ახლა, ლევ ნიკოლოზის-ძის მოთხრობის „ჰაჯი-მურატის" ბევრ მკითხველს ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ აქა-იქ ლევ ნიკოლოზის-ძის მოთხრობაში ავტორის პირით ლაპარაკობენ ეს ძველი, კავკასიის მოხუცი ვეტერანები".

ილია ნაკაშიძის ეს ცნობა კავკასიის ომის ვეტერანთა შესახებ უაღრესად საგულისხმო და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია. სამწუხაროდ, „ჰაჯი-მურატის" ზოგიერთი მკვლევარი, მოთხრობის ისტორიულ - გენეტიური თვალსაზრისით განხილვისას ამ ფაქტს არ ეხება, მაშინ, როდესაც მისი გაანალიზება ახალ, მეტად საინტერესო შტრიხს შეიტანდა ნაწარმოების ბიოგრაფიაში, მისი ფაბულისა და სინამდვილის დამთხვევის საკითხში.

○

ტოლსტოის ინტერესი კავკასიისა და საქართველოს მიმართ ამ ქვეყნების გმირული წარსულისადმი რომანტიკული დამოკიდებულებით არ იფარგლებოდა.

ტოლსტოი ცხოვლად ადევნებდა თვალს იმდროის საქართველოს სინამდვილესაც და 1904 წელს, გურიის გლეხობის რევოლუციური გამოსვლებით აღტაცებული სწერდა ილია ნაკაშიძეს:

„ძვირფასო ილია პეტრეს-ძევ! დიდად გმადლობთ, რომ გამაცანით საყვარელი ადამიანი მ. ზ. ყიფიანი. ...ის ცნობები, რომელიც ყ. გადმოგვცა, ჩემის აზრით ძალიან დიდმნიშვნელოვანია. ხალხს აუცილებლად უნდა გავაცნოთ ის დიდი ამბები, რომლებიც გურიაში ხდება. მსურს გადავცე იმათ (ე. ი. გურულებს. — ვ. ზ.) ის გრძნობები და აზრები, რომლებიც ჩემში გამოიწვია მათმა საოცარმა მოღვაწეობამ. თუ ამას საჭიროდ დაინახავთ, გადაეცით: აი, არის ერთი ისეთი მოხუცი კაცი, რომელიც ოცი წელიწადია სულ იმაზე ფიქრობს და სწერს, — ხალხის ყველა უბედურება იმისგანაა, რომ ადამიანები თვისი საკუთარი ცხოვრების მოწყობას და დახმარებას ელიან სხვებისაგან, მთავრობისაგან და, როცა ხედავენ, რომ მთავრობისაგან არაა არც დახმარება, არც წესიერება, მაშინ იწყებენ მთავრობის კიცხვას და ებრძვიან მას. მაგრამ არ არის საჭირო არც ერთი, არც მეორე, არც უნდა ელოდე მთავრობისაგან დახმარებას და წესიერებას და არც უნდა ებრძოლო მას.... გადაეცით, რომ მათი საქმე ისეთი კარგი და დიდმნიშვნელოვანია, რომ საჭიროა ყოველი ღონე იხმარონ (სულიერი ძალა, სიწყნარე, გონიერება, მოთმინება) იმისათვის, რომ ბოლომდის გაიტანონ იგი, რომ მაგალითი გახდნენ მახლობელი და შორეული ადამიანებისათვის და იმოქმედონ ღვთის სასუფევლის დასამკვიდრებლად არა ძალითა და სიყალბით, არამედ გონიერებითა და სიყვარულით.

...მშვიდობით, ძვირფასო ილია პეტრეს-ძევ! გადაეცით თქვენ მეუღლეს ჩემი გულწრფელი სალამი. აგრეთვე, თუ ვახსოვარ, გთხოვთ გადასცეთ სალამი თქვენს დას, ელენე პეტრეს-ასულს. ყოველთვის ძალიან მიყვარდით და ახლაც მიყვარხართ. **ლევ ტოლსტოი.** 1904 წ. 1 თებერვალი".

ტოლსტოის გულში კავკასიით და საქართველოთი გატაცების ცეცხლი არასოდეს არ ჩაქრალა. „ყოველთვის გულწრფელი, ცხოველი სიყვარულით მოიგონებდა ხოლმე ლევ ნიკოლოზის-ძე კავკასიას და თავის საკუთარ ცხოვრებას მთებში", — ამბობს ილია ნაკაშიძე. იგი გამოუტყდა მეგობრებს, რომ ზოგჯერ ძალიან იტაცებს იქით წასვლის სურვილი. „სიცოცხლე ისე მოკლეა, — მითხრა ლევ ნიკოლოზის-ძემ, — რომ საეჭვოა, როდისმე კიდევ მომიხდეს ყოფნა თქვენს მშვენიერ სამშობლოში".

არსებობს ვერსია, რომ 1910 წლის ნოემბრის ქარბუქიან ღამეს „იასნაია პოლიანიდან" ლტოლვილი ტოლსტოი საქართველოში აპირებდა ჩამოსვლას.

თუ ეს სიმართლეა, მაშინ, პირველ მასპინძლად მას ჩვენს სამშობლოში უეჭველად ილია ნაკაშიძე ეგულებოდა.

[1]) მიშკოვსკაია — „Работа Толстого над произведением" გვ. 42. 1931 წ.

[2]) ჩვენს წერილში მოყვანილი ტოლსტოის წერილები (შემოკლებით) და ი. ნაკაშიძის მოგონება ამოღებულია ამ უკანასკნელის წიგნიდან: „როგორ გავიცანი ტოლსტოი".

[3]) „ჰაჯი-მურატი"—ი. ნ.

[4]) იასნაია პოლიანასთან ფოსტის მახლობელი განყოფილება.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ. დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი, შ. რადიანი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 3475